



## დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების – ირაკლი აბესაძის, დავით ბაქრაძის, ეკა ბესელიას, აკაკი ბობოხიძის, გიორგი ბოკერიას, თინათინ ბოკუჩავას, ხათუნა გოგორიშვილის, რომან გოცირიძის, თენგიზ გუნავას, ლაშა დამენიას, გიორგი კანდელაკის, სერგი კაპანაძის, ოთარ კახიძის, ზაზა კედელაშვილის, ნიკანორ მელიას, ირმა ნადირაშვილის, კობა ნაყოფიას, რამაზ ნიკოლაიშვილის, სერგო რატიანის, სალომე სამადაშვილის, აზერ სულეიმანოვის, გიორგი ტულუშის, ლელა ქებურიას, გიორგი ღვინიაშვილის, მამუკა ჩიქოვანის, ნატო ჩხეიძის, გიორგი წერეთლის, ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ელენე ხოშტარიას მიერ ინიცირებულ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების – ირაკლი აბესაძის, დავით ბაქრაძის, ეკა ბესელიას, აკაკი ბობოხიძის, გიორგი ბოკერიას, თინათინ ბოკუჩავას, ხათუნა გოგორიშვილის, რომან გოცირიძის, თენგიზ გუნავას, ლაშა დამენიას, გიორგი კანდელაკის, სერგი კაპანაძის, ოთარ კახიძის, ზაზა კედელაშვილის, ნიკანორ მელიას, ირმა ნადირაშვილის, კობა ნაყოფიას, რამაზ ნიკოლაიშვილის, სერგო რატიანის, სალომე სამადაშვილის, აზერ სულეიმანოვის, გიორგი ტულუშის, ლელა ქებურიას, გიორგი ღვინიაშვილის, მამუკა ჩიქოვანის, ნატო ჩხეიძის, გიორგი წერეთლის, ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ელენე ხოშტარიას მიერ ინიცირებული საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/422, 04.12.2019) და მის მიმართ აქვს შემდეგი შენიშვნები:

1. კანონპროექტი საჭიროებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას და დახვეწას სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით. კერძოდ:

ა) კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონისათვის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 185<sup>25</sup> მუხლის დამატებას გარდამავალი დებულების სახით, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან საქართველოს პარლამენტის 2020 წლის მომდევნო არჩევნების დანიშვნამდე. თუმცა კანონპროექტის ტექსტში აღნიშნული მუხლის სათაურის შემდეგ საქართველოს საარჩევნო კოდექსის სხვადასხვა მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი ახალი რედაქციით ყალიბდება, რაც სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეუწონელია;

ბ) კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185<sup>25</sup> მუხლი, რომელიც კოდექსის XX თავს (გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი) ემატება, საქართველოს საარჩევნო კოდექსის, როგორც ნორმატიული აქტის, სტრუქტურულიდან გამომდინარე, გარდამავალი დებულებაა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისგან განსხვავებული ნორმები ან თუ ამ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარკვეული პირობები და დროა საჭირო.“. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185<sup>25</sup> მუხლი კი არა მხოლოდ ადგენს ძირითადისაგან განსხვავებულ დებულებებს დროებით, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან საქართველოს პარლამენტის 2020 წლის მომდევნო არჩევნების დანიშვნამდე, არამედ ითვალისწინებს კოდექსის მოქმედი მუხლებისთვის ახალი შინაარსის ნორმების დამატებას ცალკეული პუნქტების სახით. მაგალითად, ასეთი ნორმებია კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი, 69-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტი, 75-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი, 110-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი, 129-ე მუხლის მე-5 პუნქტი. ამდენად, აღნიშნული გარემოება საჭიროებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

გ) კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი ნორმით (მაგალითად, 63-ე, 71-ე და 75-ე მუხლების ნორმებით) შემოთავაზებულია აღნიშნული ნორმების მოქმედი რედაქციებისაგან განსხვავებული, გარდამავალი დებულებები საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან საქართველოს პარლამენტის 2020 წლის მომდევნო არჩევნების დანიშვნამდე. თუმცა ამ ნორმების მოქმედი რედაქციები ეხება არა მხოლოდ პარლამენტის არჩევნებს, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს, რეფერენდუმსა და პლებისციტს. ამიტომ, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, ეს ნორმები ახალი რედაქციით კი არ უნდა ჩამოყალიბდეს, არამედ გარდამავალ დებულებებში უნდა აისახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონპროექტით გათვალისწინებულ პერიოდში ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად რეფერენდუმსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის რეგულირება ღია და დარჩება;

დ) კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-14 პუნქტი იმეორებს მის მოქმედ რედაქციას. ამდენად, მისი ახალი რედაქციით ან გარდამავალი დებულების სახით ჩამოყალიბება საჭირო არ არის;

ე) კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის ცალკეული ნორმების ჩამოყალიბებას გარდამავალი დებულებების სახით, დროებით, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან საქართველოს პარლამენტის 2020 წლის მომდევნო არჩევნების დანიშვნამდე. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კანონპროექტით წარმოდგენილ ზემოხსენებულ ნორმათაგან რამდენიმე ახალი რედაქციით ჩამოყალიბა საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 ივლისს მიღებულმა საქართველოს №3266-რს ორგანულმა კანონმა „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მათი ამოქმედების თარიღად განსაზღვრა საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის თარიღი. საქართველოს საარჩევნო კოდექსის ასეთი ნორმები გათვალისწინებულია მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით, 63-ე მუხლის მე-12 და 21-ე პუნქტებით, 71-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 110-ე და 110<sup>1</sup> მუხლებით (ამ ორი მუხლის კოდექსიდან ამოღებასაც ითვალისწინებს ზემოაღნიშნული კანონი), 124-ე მუხლის

პირველი პუნქტით, 125-ე მუხლით, 129-ე მუხლის პირველი პუნქტით. ამდენად, წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების შემთხვევაში საქართველოს საარჩევნო კოდექსში თავმოყრილი იქნება ერთი და იმავე სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების რამდენიმე რედაქცია, კერძოდ, ზემოხსენებული ნორმების საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული მოქმედი რედაქციები, კანონპროექტით წარმოდგენილი რედაქციები და აღნიშნული კანონით გათვალისწინებული რედაქციები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისას ამოქმედდება. მიგვაჩნია, რომ ეს საკითხიც საჭიროებს მოწესრიგებას სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით.

2. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 124-ე მუხლის (საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში) მე-6 პუნქტის თანახმად, „პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამებისას ამომრჩევლის მეორე ხმა მხედველობაში არ მიიღება, თუ მას პირველი ხმა მიცემული ჰქონდა მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული „დამოუკიდებელი“ კანდიდატისთვის. ასეთი ამომრჩეველი არც პროპორციულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაში ჩაითვლება. შესაბამისი საარჩევნო ბიულეტენები ერთ პაკეტად შეიკვრება, დაილუქება და პარტიებისთვის/საარჩევნო ბლოკებისთვის მიცემული ხმების დათვლისას აღარ გაითვალისწინება.“. მოცემული ნორმა განხილული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დადგენილია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები. აქტიური საარჩევნო უფლება გულისხმობს საქართველოს მოქალაქის შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხმა მისცეს მისთვის სასურველ სუბიექტს და აირჩიოს იგი. ამასთანავე, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ თანასწორი აქტიური საარჩევნო უფლება, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია ამომრჩევლის შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე. თანასწორი საარჩევნო უფლება არის ზოგადი თანასწორობის პრინციპის სპეციალური ნორმა, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების თანასწორ პირობებში განხორციელებას. თანასწორი აქტიური საარჩევნო უფლება ითხოვს, რომ ყველა ამომრჩეველს ჰქონდეს თანაბარი საარჩევნო ხმა, რომელსაც არჩევნების შედეგებზე თანაბარი გავლენა ექნება. მოქალაქეთა ნამდვილი ნების შესაბამისი ფორმაციის მიღწევა შეუძლებელი იქნება, თუ საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მათი ნების ადეკვატურ ასახვას არჩევნების შედეგებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კანონმდებელი ვალდებულია შექმნას შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ თანაბარი წვდომა არჩევნებზე და თანაბარი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ არჩევნების საბოლოო შედეგებზე. ყველა ამომრჩეველს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს მთელ საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და მის შედეგებზე გავლენის მოხდენის ერთნაირი სამართლებრივი გარანტიები. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, ამომრჩეველს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და გამოიყენოს მისთვის მინიჭებული 2 ხმა. ამ 2 ხმის ფარგლებში იგი ხმას აძლევს მისთვის სასურველ მაჟორიტარ კანდიდატს (არ აქვს მნიშვნელობა, ეს კანდიდატი იქნება „დამოუკიდებელი“ თუ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი) და პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიას. თუმცა კანონპროექტი უშვებს შესაძლებლობას, ამომრჩევლის მე-2 ხმა (პარტიული/საარჩევნო ბლოკის სიისთვის განსაზღვრული ხმა) კონკრეტულ შემთხვევაში დაიკარგოს. ცხადია, ხმის დაკარგვა ამომრჩეველს ართმევს აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში

ხმის დაკარგვაში იგულისხმება შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველმა საარჩევნო კანონმდებლობის დაცვით მისცა ხმა და მისი გაბათილების საფუძველი არ არსებობს, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შეჯამებისას ეს ხმა მაინც არ მიიღება მხედველობაში. ამასთანავე, ასეთი ამომრჩეველი არც პროპორციულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობაში ჩაითვლება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით მსჯელობას საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ თანასწორობის უფლებასა და აქტიურ საარჩევნო უფლებასთან მიმართებით, ვინაიდან მარეგულირებელი ნორმის ასეთი სახით მიღება ამომრჩეველთა ნაწილს მნიშვნელოვნად შეუზღუდავს აქტიურ საარჩევნო უფლებას.

3. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლი აწესრიგებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების ცესკოში შეჯამებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა ტოლია მაჟორიტარული წესით მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრებისა და მისი პარტიული სიისთვის ამ მუხლით დადგენილი წესით მიკუთვნებული მანდატების რაოდენობათა ჯამისა“, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს პარტიული სიისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობის გამოანგარიშების ფორმულას. ამასთანავე, კანონპროექტის თანახმად, თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ზემოაღნიშნული ფორმულის მიხედვით გამოანგარიშებისას ამ სუბიექტს ეკუთვნის, ამ რაოდენობამდე შესავსებად მის პარტიულ სიას მიეკუთვნება შესაბამისი რაოდენობის მანდატები. წინააღმდეგ შემთხვევაში მის პარტიულ სიას მანდატები არ მიეკუთვნება. გარდა ამისა, თუ ერთი ან რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ფორმულის მიხედვით გამოანგარიშებისას ამ სუბიექტს/სუბიექტებს ეკუთვნის, მის/მათ პარტიულ სიას/სიებს მანდატები აღარ მიეკუთვნება და დარჩენილი სუბიექტებისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა გადაიანგარიშება და გამოითვლება უკვე სხვა ფორმულით.

ზემოაღნიშნული ნორმები განხილული უნდა იქნეს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. ამ პუნქტის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტს მაინც. არჩევნებში მონაწილეობის წესი და პირობები, აგრეთვე პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით.“.

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის სრულყოფილი ანალიზისთვის მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს პროპორციული საარჩევნო სისტემა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა. პროპორციული საარჩევნო სისტემა მკაცრად პარტიულია. პროპორციული სისტემის თანახმად, მანდატები საარჩევნო სუბიექტებს შორის ნაწილდება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების რაოდენობის შესაბამისად.

აღნიშნულ სულისკვეთებას იზიარებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები არის საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე. იმისათვის, რომ საარჩევნო სისტემა განხილული იქნეს, როგორც პროპორციული საარჩევნო სისტემა, მას უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები:

ა) ამომრჩეველთა ხმებისთვის იბრძვიან არა კანდიდატები, არამედ პოლიტიკური პარტიები;

ბ) პარტიები წარადგენენ ე. წ. პარტიულ სიებს, რომლებშიც მითითებულია როგორც ამ პარტიების კანდიდატები, ისე, ხშირ შემთხვევაში, მათ მიერ მანდატების მიღების რიგითობა;

გ) ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას და, მაშასადამე, საარჩევნო სიას მთლიანად;

დ) მანდატები პარტიებს შორის ნაწილდება მიღებული ხმების პროპორციულად;

ე) ყოველი პარტიის მიერ მიღებული სადეპუტატო მანდატები მის კანდიდატებს შორის ნაწილდება პარტიულ სიაში მათი რიგითობის მიხედვით.

პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს ხმის მიცემის შემდეგ ხდება მანდატების განაწილება. ამა თუ იმ პარტიის მანდატების რაოდენობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს საარჩევნო კვოტის პრინციპი. საარჩევნო კვოტა ეწოდება ხმების იმ უმცირეს რაოდენობას, რომელიც აუცილებელია ერთი დეპუტატის ასარჩევად. ყოველი პარტია იღებს იმდენ სადეპუტატო მანდატს, რამდენ კვოტასაც შეიცავს მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ჩვეულებრივ, საარჩევნო კანონმდებლობით დგინდება საარჩევნო კვოტის გამოთვლის წესი. ასეთ მიდგომას იზიარებს ზემოაღნიშნული კონსტიტუციური კანონი, რომელიც პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესის განსაზღვრას საარჩევნო კანონმდებლობას ანდობს.

რაც შეეხება მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას, მას საფუძვლად უდევს უმრავლესობის პრინციპი. მაჟორიტარულ სისტემაში არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც ხმების დადგენილ უმრავლესობას მიიღებენ.

არჩევნების ჩასატარებლად, გარდა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემებისა, გამოიყენება აგრეთვე შერეული საარჩევნო სისტემა. შერეული სისტემის არსი ის არის, რომ მანდატების ერთი ნაწილი ნაწილდება პროპორციული წესით, ხოლო მეორე ნაწილი – მაჟორიტარული წესით. შერეული სისტემის ძირითადი ფორმებია პარალელური კენჭისყრა (Parallel) და შერეული წევრობის სისტემა (MMP). პარალელური კენჭისყრის სისტემით წარმომადგენლობითი ორგანო სანახევროდ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებით, სანახევროდ კი – პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებით კომპლექტდება. აღნიშნულ საარჩევნო სისტემაში წარმომადგენლები აირჩევიან როგორც გეოგრაფიული საარჩევნო ოლქებიდან, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით პროპორციული საარჩევნო სისტემით, პარტიული სიებით. ამომრჩეველს აქვს 2 ხმა: ერთი – პარტიული სიისთვის, ხოლო მეორე – საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის. კონსტიტუციური დათქმიდან გამომდინარე, საქართველოში სწორედ ეს საარჩევნო მოდელი მოქმედებს.

ზემოხსენებული კონსტიტუციური ნორმის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი უნდა დაკომპლექტდეს პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრით. ამ მოცემულობიდან ივარაუდება, რომ პარლამენტის წევრის 77 მანდატი პროპორციული სისტემით უნდა განაწილდეს. როგორც აღვნიშნეთ, პროპორციული სისტემის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია პარტიულ სიებს

შორის მანდატების მიღებული ხმების პროპორციულად განაწილება. ვფიქრობთ, კანონპროექტით შემოთავაზებული დაშვება, რომ შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტს პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად ეკუთვნოდეს განსაზღვრული რაოდენობის მანდატები (77 მანდატის ფარგლებში), მაგრამ მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების საფუძველზე არ მიენიჭოს ამდენივე ან არცერთი მანდატი, დამატებით მსჯელობას საჭიროებს კონსტიტუციური კანონის ამ პრინციპთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს აგრეთვე კონსტიტუციური ნორმის მე-2 წინადადებაც, რომლის თანახმად, „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებზე, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტს მაინც.“. ანუ, ის პოლიტიკური პარტიები ან პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკები, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტს მაინც, გაინაწილებენ პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნებისთვის განსაზღვრულ მანდატების რაოდენობას. კანონპროექტით კი წარმოდგენილია პრინციპი, რომლის თანახმად, შესაძლებელია პოლიტიკურმა პარტიამ ან საარჩევნო ბლოკმა გადალახოს 3-პროცენტის ბარიერი, თუმცა 77 მანდატის ფარგლებში ვერცერთი მანდატი ვერ მიიღოს. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა დისპროპორციულია (იგულისხმება დისპროპორცია პროპორციული სისტემით მიღებული ხმების რაოდენობასა და მიღებული მანდატების რაოდენობას შორის).

საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა აგრეთვე ის საერთაშორისო მიდგომა, რომლის პრინციპების საფუძველზედაც შემუშავდა წარმოდგენილი კანონპროექტი. კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები სწორედ აღნიშნული სისტემით ტარდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, რომლის საფუძველზედაც გერმანიაში ეს საარჩევნო სისტემა მოქმედებს. გერმანიის ძირითადი კანონის 38-ე მუხლი განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს (ბუნდესტაგის) არჩევნების პრინციპებს. განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციური კანონისგან, რომელშიც განსაზღვრულია მაჟორიტარული და პროპორციული წესებით ასარჩევი დეპუტატების მანდატების რაოდენობა, გერმანიის ძირითადი კანონი არ შეიცავს დეტალებს საარჩევნო სისტემის და საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობის შესახებ. არჩევნების ჩატარების მარეგულირებელ კონკრეტულ ნორმებთან დაკავშირებით გერმანიის მთავარი კანონი მიუთითებს არჩევნების შესახებ გერმანიის ფედერალურ კანონზე. აღნიშნული კანონის თანახმად, გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს წევრთა საბაზისო რაოდენობაა 598, რომელთაგან 299 წევრი აირჩევა მაჟორიტარული წესით, ხოლო დანარჩენი წევრები აირჩევიან პროპორციული წესით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ბუნდესტაგში საარჩევნო სუბიექტებს შორის მანდატების განაწილებისას განმსაზღვრელია ე. წ. მეორე ხმა, ანუ, პროპორციული სისტემით მიღებული მხარდაჭერა. შესაბამისად, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მაჟორიტარულ კომპონენტში მიღებული ხმებისა და მანდატების დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით, პროპორციული წესით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობის მიხედვით საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა ე. წ. საკომპენსაციო მანდატების ხარჯზე შესაძლებელია 598-ზე მეტით განისაზღვროს, განსხვავებით საქართველოსაგან, რომლის პარლამენტი 150 წევრისგან შედგება. საქართველოს კონსტიტუცია მკაფიოდ ადგენს, რამდენი პროპორციული წესით არჩეული დეპუტატისა და რამდენი მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატისაგან უნდა

შედგებოდეს საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული მანდატები დაანგარიშდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და არა რომელიმე მათგანის ხარჯზე, რაც წარმოადგენს შერეული საარჩევნო სისტემის პარალელური კენჭისყრის ფორმას ასიმეტრიული სისტემის ელემენტებით (პროპორციული და მაჟორიტარული მანდატები თანაბრად არ არის გაყოფილი).

დღევანდელი მდგომარეობით, გერმანიის ბუნდესტაგი შედგება 299 მაჟორიტარული სისტემით არჩეული დეპუტატისა და 410 პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატისაგან. შესაბამისად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი საარჩევნო მოდელი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელსაც, პროპორციული სისტემით მიღებული ხმების თანახმად, ეკუთვნის განსაზღვრული რაოდენობის მანდატები, ეს მანდატები ვერ მიიღოს.

რაც შეეხება კანონპროექტს, მართალია, შემოთავაზებული სისტემა სტრუქტურით პარალელური კენჭისყრის მსგავსია, თუმცა მისი გამორჩეული მახასიათებელი ის არის, რომ სიითი პროპორციულობით მიღებული მანდატები ერთმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნებით გამოწვეული ნებისმიერი დისპროპორციის კომპენსირებას ახდენს. შერეული საარჩევნო სისტემის კანონპროექტით შემოთავაზებული მოდელი ამომრჩეველს აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ისე პარტიული სია. პარლამენტში კი პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს შორის ადგილების განაწილების განსაზღვრელია პროპორციული სისტემის საფუძველზე მიღებული ხმები. მიუხედავად იმისა, რომ როგორც დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკა, ისე საარჩევნო სისტემების შესახებ სამართლის დოქტრინული წყაროები იძლევა ამ ტიპის საარჩევნო სისტემაში შიდა ინტერპრეტაციის საშუალებას, ასეთი ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. გერმანიაში, სადაც მსგავსი საარჩევნო მოდელი მოქმედებს, კონსტიტუციურ დონეზე არ არის განსაზღვრული მაჟორიტარული და პროპორციული მანდატების რაოდენობა. სწორედ ამიტომ ეს ფაქტი არ ზღუდავს იმას, რომ იერარქიით ქვემდგომი ნორმატიული აქტით დადგინდეს საარჩევნო სისტემის განსაზღვრელი დანარჩენი კომპონენტები, მათ შორის, პროპორციული და მაჟორიტარული მანდატების დაანგარიშების წესი.

თუკი მსჯელობას დავამყარებთ სამართლის ნორმის გრამატიკული განმარტების მეთოდზე, პარლამენტის სრულ შემადგენლობაში არ იცვლება პროპორციული და მაჟორიტარული ადგილების კონსტიტუციით განსაზღვრული თანაფარდობა, თუმცა ნორმის კონსტიტუციურობის დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ უფრო მაღალი კონსტიტუციური სტანდარტით და გავცდეთ მისი გრამატიკული/ფორმალური გაგების ფარგლებს, რაც გამოიხატება ნორმის ნორმატიული შინაარსის სისტემური და ფართო ტელეოლოგიური განმარტებით. მნიშვნელოვანია ნორმის შინაარსისა და ნორმის უშუალოდ გრამატიკული/ფორმალური ჩანაწერის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ნორმის კონსტიტუციურობის დადგენისას აუცილებელია შეფასდეს არა მხოლოდ მისი გრამატიკული/ფორმალური გაგება, არამედ ნორმის კონკრეტული შინაარსით გამოყენების კონსტიტუციურობა, რაც დგინდება სწორედ მისი განმარტების ტელეოლოგიური მეთოდის მეშვეობით. ნორმის კონსტიტუციურობის განსაზღვრისას ამ ტიპის მიდგომას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენჯერმე მიმართა. მან ერთ-ერთი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო 2015 წლის 15 სექტემბერს საქმეზე, რომელშიც სადავო იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის კონსტიტუციურობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

205-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი თითქმის იდენტური იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის შინაარსისა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ „მიუხედავად ფორმალური მსგავსებისა, კონსტიტუციური დანაწესის შინაარსი შესაძლებელია განსხვავდებოდეს კანონის ნორმის შინაარსისაგან. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს არა მხოლოდ სადავო ნორმის ფორმალური შესაბამისობა კონსტიტუციის დანაწესთან, არამედ უნდა დაადგინოს, სადავო ნორმა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების არსის დაცვას.“. ეს მსჯელობა საფუძვლად უთითებს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვით, „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრსა და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს.“. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით, ტელეოლოგიური განმარტების მეთოდის გამოყენებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი და არა მისი გრამატიკული/ფორმალური გაგება. მითითებული გადაწყვეტილებით სასამართლომ განსაზღვრა სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის ფარგლები, რითაც გამორიცხა მომავალში მისი განსხვავებული შინაარსით გამოყენების შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, მართალია, კონსტიტუციური კანონი იძლევა შესაძლებლობას, მანდატების განაწილების წესი საარჩევნო კანონმდებლობამ დაადგინოს, თუმცა ეს წესი შემუშავებული უნდა იყოს კონსტიტუციის საფუძველზე და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით მანდატების განაწილების წესი მკაცრად არის შეზღუდული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემებით. მანდატები უნდა განაწილდეს 77 პროპორციული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრსა და 73 მაჟორიტარული სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრს შორის ცალ-ცალკე. ამდენად, მიგვაჩნია, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი მანდატების განაწილების წესი საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით დამატებით მსჯელობას საჭიროებს.

4. მიზანშეწონილია, კანონპროექტით წარმოდგენილ საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში დაკონკრეტდეს, რომ ცესკო განკარგულებით ქმნის მაჟორიტარულ საარჩევნო ქვეოლქებს (სიტყვის „ქვეოლქებს“ წინ ჩაებატოს სიტყვები „მაჟორიტარულ საარჩევნო“) და აზუსტებს მათ საზღვრებს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტით განმარტებულია ტერმინი „საარჩევნო ოლქი“. იგი აღნიშნავს სამოქმედო ტერიტორიას, „რომელშიც ხორციელდება არჩევნებისა და რეფერენდუმის ორგანიზება და ტარდება არჩევნები და რეფერენდუმი“. წარმოდგენილი განმარტებიდან გამომდინარე, ის შესაძლებელია გულისხმობდეს არჩევნებისთვის არსებულ ადმინისტრაციულ საარჩევნო დანაყოფს არჩევნების როგორც პროპორციული სისტემით, ისე მაჟორიტარული სისტემით ჩასატარებლად. იგივე რეჟიმი ავტომატურად ვერ გავრცელდება „ქვეოლქზე“ ან „საარჩევნო ქვეოლქზე“, ვინაიდან მათ არც კოდექსის მოქმედი რედაქცია და არც წარმოდგენილი კანონპროექტი არ იცნობს. კანონპროექტით შემოთავაზებულია მხოლოდ „მაჟორიტარული საარჩევნო ქვეოლქი“ კონკრეტულად მაჟორიტარული, უფრო ზუსტად კი – შუალედური არჩევნებისათვის (იხ, მაგალითად, იმავე საკითხის მარეგულირებელი ნორმა კანონპროექტით წარმოდგენილ კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის რედაქციაში).

5. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენში უნდა მიეთითოს არჩევნებში მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება ან/და მისი შემოკლებული დასახელება, აგრეთვე დამატებით შეიძლება მიეთითოს პარტიის არაუმეტეს 3 ლიდერის გვარი ან სახელი და გვარი. მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი იცნობს პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდების „შემოკლებული ფორმის ან/და აბრევიატურის“ ტერმინს (მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე, 114-ე და 142-ე მუხლები). შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კანონპროექტით წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ ნორმაში სიტყვები „შემოკლებული დასახელება“ შეიცვალოს სიტყვებით „შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა“. გარდა ამისა, დამატებით მსჯელობას საჭიროებს კანონპროექტით წარმოდგენილი ნორმის ის ნაწილი, რომლის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენში არჩევნებში მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდებასთან ან/და მის შემოკლებულ დასახელებასთან ერთად დამატებით შეიძლება მიეთითოს პარტიის არაუმეტეს 3 ლიდერის გვარი ან სახელი და გვარი. კერძოდ, დამატებით მსჯელობას საჭიროებს შემდეგი საკითხი: 3 ლიდერის გვარი ან სახელი და გვარი შეიძლება მიეთითოს მხოლოდ პარტიის სახელწოდების ან/და მისი შემოკლებული დასახელების შემდეგ თუ ეს წესი არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკზედაც ვრცელდება.

6. მიზანშეწონილია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში შეტანილ იქნეს დამატებითი ცვლილებები, რომლებიც ექსკლუზიურად მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისათვის დაარეგულირებს საარჩევნო უბანზე ხმების დათვლის წესს. კოდექსის 69-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედი რედაქციები ითვალისწინებს საარჩევნო ბიულეტენების დათვლისას მათ გადაცემას მე-2 და მე-3 მთვლელებისათვის და ბიულეტენების დახარისხებას ბიულეტენის სახის მიხედვით. ვინაიდან კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებებით მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში 2 ბიულეტენის ნაცვლად არის 1 ბიულეტენი, ბიულეტენების დახარისხება და მათი ბიულეტენის სახის მიხედვით სხვადასხვა მთვლელისათვის გადაცემა ვეღარ მოხდება. მიზანშეწონილია კანონპროექტით დეტალურად განისაზღვროს ახალი რეალობისთვის მორგებული ხმის დათვლის პროცედურა.

7. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს. ამასთანავე, 1<sup>1</sup> პუნქტის მიხედვით, თუ აღმოჩნდა, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში პარლამენტის წევრად აირჩა „დამოუკიდებელი“ კანდიდატი, ცალკე გადაეწყობა ის საარჩევნო ბიულეტენები, რომლებშიც ეს კანდიდატია აღნიშნული, და ეს ბიულეტენები პროპორციული არჩევნების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში აღარ მიიღება. ამის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისია აჯამებს კენჭისყრის შედეგებს პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საოლქო საარჩევნო კომისია არა მარტო საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს არჩევნების შედეგებს, არამედ კონკრეტულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა გადათვლის შედეგებით. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კოდექსის 75-ე მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და მიზანშეწონილია მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

8. მიზანშეწონილია, კანონპროექტით საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლისთვის დამატებულ 1<sup>1</sup> პუნქტში სიტყვის „ოლქში“ წინ ჩაემატოს სიტყვა „საარჩევნო“, ვინაიდან კოდექსის მე-2 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სწორედ ტერმინს „საარჩევნო ოლქი“.

9. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება არჩევნების დასახელება, საარჩევნო სისტემა (საერთო არჩევნების დროს – „შერეული“, ხოლო შუალედური არჩევნების დროს – „მაჟორიტარული“). ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმსა და პროპორციული საარჩევნო სისტემით გამართული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 2 სახის შემაჯამებელი ოქმის შედგენას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საერთო არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ნაცვლად „შერეულისა“, მაჟორიტარული სისტემის ნაწილში მიეთითოს „მაჟორიტარული“, ხოლო პროპორციული სისტემის ნაწილში – „პროპორციული“.

10. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-11 პუნქტის დროებითი რედაქცია განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება, სასამართლოში შეიტანონ სარჩელი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატების, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის, მერობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, ცესკოში ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის, დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირის შესაძლებლობას, შეიტანონ სარჩელი სასამართლოში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო, თუ მიაჩნიათ, რომ ცესკოს თავმჯდომარემ საარჩევნო ბლოკის სია, საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით გაატარა, აგრეთვე თუ საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან მათი ეს მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაკმაყოფილდა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული გარემოება კანონპროექტით წარმოდგენილ ამ ქვეპუნქტის რედაქციაში გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია საარჩევნო ბლოკის სია ან საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები რეგისტრაციაში გატარდეს/გატარდნენ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით, თუმცა სამართლებრივი საფუძვლის არქონის გამო ეს გადაწყვეტილება სასამართლოში ვერ გასაჩივრდება. აგრეთვე შესაძლებელია საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებდნენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან მათი ეს მოთხოვნები საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაკმაყოფილდეს, მაგრამ გადაწყვეტილება ასევე ვერ გასაჩივრდება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება დამატებით მსჯელობას საჭიროებს, ვინაიდან უფლების სამართლებრივი დაცვა საჩივრის (სარჩელის) უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. გასაჩივრების უფლება დაინტერესებულ პირს აძლევს შესაძლებლობას, თავისი უფლების დასაცავად მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ვალდებული არიან მიიღონ ზომები მომჩივანთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“. მოცემულ შემთხვევაში დაინტერესებული პირები არიან საარჩევნო რეგისტრაციის მქონე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია, რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკი, დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირი (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ ცესკოში ან საოლქო საარჩევნო კომისიაში), რომელთა სამართლებრივი ინტერესიც უნდა იყოს საარჩევნო პროცესის თანასწორ პირობებში უზრუნველყოფა. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონს, ეს მისი ბათილობის საფუძველია. კოდექსის ეს ჩანაწერი მეტად ამყარებს იმ ვარაუდს, რომ კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივი აქტის გასაჩივრების შესაძლებლობა.

11. კანონპროექტით წარმოდგენილ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლის მე-7 პუნქტის დროებითი რედაქციის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებიდან პარლამენტის მომდევნო არჩევნებამდე პერიოდში პარლამენტის შუალედური არჩევნები ტარდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრულ მაჟორიტარულ საარჩევნო ქვეოლქებში.“. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოქმედი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით არ არის განსაზღვრული მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები. ამასთანავე, არც კანონპროექტითაა შემოთავაზებული ამ პუნქტების დროებითი რედაქციები. გარდა ამისა, კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დროებითი რედაქციის თანახმად, მაჟორიტარული საარჩევნო ქვეოლქები, მათი საზღვრები, სახელწოდებები და ნომრები განისაზღვრება ცესკოს განკარგულებით და არა კანონით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შემოთავაზებული ნორმა საჭიროებს დახვეწას საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით.

12. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 110-ე მუხლთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილია, კანონპროექტით ამ მუხლში განსახორციელებელი ცვლილებების, კერძოდ, მაჟორიტარულ საარჩევნო ქვეოლქთან დაკავშირებული დებულებების ამსახველი ჩანაწერი დაემატოს აგრეთვე კოდექსის 110-ე მუხლის სათაურში. ამასთანავე, აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების „საარჩევნო ოლქებში/ქვეოლქებში“ წინ უნდა ჩაემატოს სიტყვა „საარჩევნო“, ისე, როგორც ამას კოდექსის მე-2 მუხლის „ც“ და „ც1“ ქვეპუნქტები ითვალისწინებს.

13. კანონპროექტით წარმოდგენილ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 პუნქტში მოცემულია საარჩევნო სუბიექტებისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობის გამოსათვლელი შემდეგი ფორმულა: „ $M_p = N_p \times (150 - K - K_1) : N_1$ “ რიცხვის მთელი ნაწილი“. ამავე პუნქტში მითითებულია, რომ  $M_1$  ნიშნით აღინიშნება იმ

სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების ჯამი, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მათ ეკუთვნოდათ. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოყვანილ ფორმულაში  $M_1$  ნიშანი არ არის. შესაბამისად, შესაძლო ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით  $M_1$  ნიშნის ნაცვლად უნდა მიეთითოს ის ნიშანი, რომელიც ზემოხსენებული ფორმულის მიხედვით იგულისხმება  $M_1$  ნიშანში.

14. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 125-ე მუხლის („არჩევნების შედეგების შეჯამება ცესკოში“) პირველი პუნქტის რედაქცია არჩევნების შედეგების შეჯამებისა და შესაბამისი ოქმის შედგენისათვის ცესკოსთვის განსაზღვრულ ვადას, კერძოდ, სიტყვებს „არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 19 დღისა“ ანაცვლებს სიტყვებით „არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა“, ისე, რომ კოდექსის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერს ცესკოს მიერ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შეჯამების შესახებ („კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა“) უცვლელად ტოვებს. შესაბამისად, ვინაიდან, კოდექსის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „არჩევნების დღე“ და „კენჭისყრის დღე“ ერთი და იგივეა, გამოდის, რომ, კოდექსის ერთი მუხლის მიხედვით, ცესკო პარლამენტის არჩევნებს აჯამებს ამ დღიდან „არაუგვიანეს მე-19 დღისა“, ხოლო მეორე მუხლის მიხედვით – „არაუგვიანეს 30-ე დღისა“.

15. კანონპროექტით წარმოდგენილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის 128-ე მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, „პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა და მე-2 ხმების რაოდენობა, რომლებიც მხედველობაში არ იყო მიღებული; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების (მე-2 ხმების) ჯამური რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ თავდაპირველად მიღებული ხმების (მე-2 ხმების) პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები.“ აღნიშნული ჩამონათვალიდან ყურადსაღებია ის მონაცემი, რომლის თანახმად, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში მიეთითება ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ თავდაპირველად მიღებული ხმების (მე-2 ხმების) პროცენტი. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნორმიდან არ იკვეთება, რა იგულისხმება თავდაპირველად მიღებული ხმების (მე-2 ხმების) პროცენტში. სამართლებრივი ნორმა ზუსტი უნდა იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი ნორმა დეტალურად და საკმარისად ცხადად უნდა განისაზღვროს. მარეგულირებელი ნორმები იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ დაინტერესებულ პირებს საკმარისად შეეძლოთ კონკრეტულ სამართლებრივ მდგომარეობაში გარკვევა და საკუთარი ქცევის შესაბამისად განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კონკრეტულად განისაზღვროს, რა იგულისხმება საარჩევნო სუბიექტის მიერ თავდაპირველად მიღებული ხმების (მე-2 ხმების) პროცენტში.

16. კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 129-ე მუხლის მე-5 პუნქტი ეხება პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვებას. აღნიშნული პუნქტის პირველი წინადადება მიუთითებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტზე, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით მითითებული უნდა იყოს მე-4 პუნქტი.


17. კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 129-ე მუხლით რეგულირდება კანონპროექტითვე წარმოდგენილ გარდამავალ პერიოდში საქართველოს პარლამენტის

შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, ეს საკითხები განხილული იქნეს საქართველოს საარჩევნო კოდექსი 185<sup>23</sup> მუხლთან მიმართებით, რომლის თანახმად, „მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან მომდევნო პროპორციული წესით ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღემდე საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები გაიმართოს ამ კანონის 2018 წლის 21 ივლისამდე მოქმედი რედაქციით.“. მითითებული ჩანაწერი არეგულირებს აგრეთვე საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან მომდევნო პროპორციული წესით ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დღემდე საჭირო გახდება შუალედური არჩევნების გამართვა, წარმოიქმნება სამართლებრივ ნორმათა კოლიზია. შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრას და საქართველოს საარჩევნო კოდექსმა საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები ერთმნიშვნელოვნად დაარეგულიროს.

18. მიზანშეწონილია, კანონპროექტით წარმოდგენილ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129-ე მუხლის მე-5 პუნქტში დაზუსტდეს მითითებითი ნორმა, ვინაიდან „ამ მუხლის მე-3 პუნქტი“ არ შეიცავს რაიმე პირობებს, რომლებიც პარტიამ შეიძლება დააკმაყოფილოს.

19. კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით წარმოდგენილი ფორმულირების კანონპროექტით გათვალისწინება აზრს მოკლებულად მიგვაჩნია, ვინაიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსისათვის დამატებული 185<sup>25</sup> მუხლის სათაური თავად შეიცავს მითითებას შემოთავაზებული გარდამავალი ნორმების მოქმედების (მათ შორის, მათი მოქმედების დასრულების) სასურველ პერიოდზე.

20. კანონპროექტი დასახვეწია სამართლებრივი ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით.

  
ალექსანდრე ტაბატაძე  
დეპარტამენტის უფროსი